საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2174
01/06/2022

2174-21-2-202206011509

შპს „დიჯიელის“

მის: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორაბერეჟოული
ელ. ფოსტა: Rauli1987@outlook.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10988 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბერეჟოულში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის პირველ გვერდზე მითითებულია შემდეგი ჩანაწერი: „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო“, რაც გაურკვეველია და საჭიროებს კორექტირებას;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია შპს „დიჯიელმა“ შეიძინა შპს „ბლექსი სტოუნისგან“, რომელზეც 2021 წლის 18 ოქტომბერს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1465). დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების ფარგლებში შპს „ბლექსი სტოუნის“ მიერ განხორციელებული და ასევე შპს „დიჯიელის“ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მითითებულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 400–410 მეტრით, ხოლო, უახლოესი დასახლებული პუნქტი - 385 მ-ით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 365 მეტრით (ს/კ:

28.11.22.194). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის საწარმოში შეტანიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მდ. სუფსიდან საწარმოო მიზნით წყლის ასაღებად გათვალისწინებულია ტუმბოს განთავსება, საიდანაც მიწისქვეშა მილით წყალი მიეწოდება სამსხვრევს. დაზუსტებას საჭიროებს წყალაღებისთვის საჭირო მილის პარამეტრები, მოწყობის სამუშაოების შედეგად ექსკავირებული გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი და წყალაღებისთვის გათვალისწინებული ტუმბოს წარმადობა;
- სკრინინგის განცხადებაში დანართის სახით წარმოდგენილია ტექნიკური პირობები ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე, სადაც მითითებული წყალაღების წერილის GPS კოორდინატები და ასაღები წყლის მოცულობა არ შეესაბამება სკრინინგის განცხადებაში მითითებულ მონაცემებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები და მოცულობები;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „გამწმენდი ნაგებობების (სალექარის) პარამეტრები გათვლილი იქნება მაქსიმალურ წარმადობაზე, რომელიც იქნება 450 $მ^3$/დღეში.“ დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლის გაწმენდისათვის გათვალისწინებული ობიექტის სახელწოდება, პარამეტრები და მოცულობა, ასევე, - ჩაშვებულ ჩამდინარე წყალში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაცია (სალექარის ეფექტურობა);
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სალექარში წარმოქმნილი ლამის რაოდენობა და მისი შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ხმაურის დონეების გაანგარიშებისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიღებული ხმაურის კოეფიციენტის შესახებ, ასევე „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ უახლოეს მოსახლემდე არსებული დაშორებისა და საწარმოს შემცირებული წარმადობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო